დანართი №1

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის“
„სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ“
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქ. ბათუმი,
2018წ

თავი I. შესავალი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.“სტუდენტის სტატუსისა და მობილობის შესახებ“ (შემდგომში - დებულება) წინამდებარე დებულება არეგულირებს შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის“ (შემდგომში - „სასწავლო უნივერსიტეტი“) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და მობილობის პროცედურებს.

2. წინამდებარე წესი შემუშავებული „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ დებულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა)**„სასწავლო უნივერსიტეტი“**- შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრული წესით ავტორიზებული კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ბ) **„მობილობა“** - სტუდენტთა თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში;

გ)**„ცენტრი“** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;

დ) **„ელექტრონული პორტალი“** - ცენტრის მიერ შექმნილი ელექტრონული პორტალი;

ე)**“უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება“** - განათლების ხარისხის განვითარების მიერ უცხოეთში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთში სწავლის პერიოში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება;

ვ) **„სტუდენტი“** - პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი წესით ჩაირიცხა და სწავლობს სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;

ზ) **„მობილობის კომისია“** - რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით, შექმნილი კომისია, რომელიც ახორციელებს მობილობის მსურველ სტუდენტებთან გასაუბრებას ან გამოცდის ჩატარებას და რეკომენდაციის მიწოდება რექტორისათვის;

თ) **„OIS სისტემა“** - შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონული მართვის სიტემა, სადაც ხდება შემდეგი ინფორმაციის განთავსება: სტუდენტის რეგისტრაცია, აკადემიური მოსწრება, სასწავლო გეგმა, უწყისები, ასევე კორესპონდენციის და ადამიანური რესურსებზე მიკუთვნებული დოკუმენტების ასახვა.

მუხლი 3. დებულების რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულებით განისაზღვრება შემდეგი საკითხები:

ა)სტუდენტის სტატუსის მოპოვება/შეჩერება/შეწყვეტა/აღდგენა;
ბ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება;
გ) ადმინისტრაციული წარმოების წესი;
დ) მობილობის წესით ჩარიცხვის პროცედურები;
ე) გარდამავალი დებულებანი;
ვ)დასკვნითი დებულებანი.

თავი II. სტუდენტის სტატუსი

მუხლი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვება საქართველოს მოქალაქეებისათვის

1. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება საქართველოს მოქალაქეებისათვის ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის, ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ან მობილობის გზით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.
2. სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე მიღებული ქულების კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე სწავლის უფლებას მოიპოვებს სასწავლო უნივერსიტეტში შესაბამის პროგრამაზე.
3. აბიტურიენტის მიერ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტის მიხედვით სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის აუცილებელი წინაპირობაა აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გავლა რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, რომელიც გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
4. აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გავლის შემდგომ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს - ბრძანებას სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.
5. დადგენილ ვადებში აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გავლის გარეშე სტუდენტის სასწავლო პროცესში მონაწილეობა დაუშვებელია.
6. აკადემიური რეგისტრაციისათვის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) განცხადება (სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის სახელზე);
ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
დ) 2 ფოტოსურათი 3X4;
ვ)სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);
7. ამ მუხლის მეექვსე პუნქტში მითითებული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იყოს როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკზე).
8. აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ, OIS-ის (შიდა საუნივერსიტეტო ქსელი) ელექტრონულ სისტემაში იქმნება სტუდენტის პროფილი, სადაც ხორციელდება სტუდენტის მონაცემებისა და იმ სასწავლო საგნების შეყვანა, რომელსაც სტუდენტი გაივლის სასწავლო წლის განმავლობაში. ამის შემდეგ სტუდენტს ენიჭება

ინდივიდუალური მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის გამოყენებით, სარგებლობს ელექტრონული სისტემით.
9. აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდგომ სტუდენტი გადის ფინანსურ რეგისტრაციას. ფინანსური რეგისტრაცია გულისხმობს მომსახურების ხელშეკრულების დადებას სასწავლო უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის.
10. რექტორის მიერ სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანების გამოცემისთანავე, სტუდენტის პირადი საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ბრძანების გამოცემისთანავე დაიწყოს სტუდენტის პირადი საქმის წარმოება.
11. რექტორის სამართლებრივი აქტის გამოცემიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში პასუხისმგებელი პირი ვალდებულია სტუდენტის ჩარიცხვა ასახოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში, ხოლო ბრძანების ასლი გააგზავნოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.
12. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლა დასაშვებია:
ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;
გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

მუხლი 5. სტუდენტის სტატუსის მოპოვება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის

1. სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, ან მობილობის გზით, საქართველოს კანონმდებლობითა და ამ წესის შესაბამისად.
2. უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტმა სასწავლო უნივერსიტეტში სწავლის სურვილის შემთხვევაში, უნდა შეავსოს ონლაინ აპლიკაციის ფორმა, რომელიც განთავრებულია სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და თან დაურთოს შემდეგი დოკუმენტები:
ა)სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) სრული ზოგადი განათლების ნიშნების ფურცლის ასლი;
გ) პასპორტის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
დ)ინგლისური ენის B2 დონის საერთაშორისო სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტი აბიტურიენტს უგზავნის წერილს „პირობითი მიღების შესახებ". წერილში აღნიშნული ვადის შესაბამისად სტუდენტი იხდის ავანსის სახით სააპლიკაციო განაცხადის საფასურს 2000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში.

აღნიშნული თანხა ჩარიცხვის შემთხვევაში აკლდება სტუდენტს სწავლის საფასურის ოდენობას.

4. სააპლიკაციო საფასურის გადახდის შემდეგ, აბიტურიენტთან ხორციელდება ელექტრონულად, სკაიპის მეშვეობით ვიდეო ინტერვიუ, რომლის ხანგრძლივობაა 5-დან 10 წუთამდე. აღნიშნული გასაუბრება იწერება სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. ინტერვიუს ჩანაწერის წარდგენა ხდება ბმულის (LINK) სახით, რომლის ნახვას შეძლებს პროცესში ჩართული, დაინტერესებული ნებისმიერი უწყება. ინტერვიუს მიზანია შეფასდეს აბიტურიენტის ინგლისური ენის ცოდნის დონე.

5. ამ მუხლის შესაბამისი პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების დასრულების შემდეგ აბიტურიენტმა უნდა მიმართოს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების მოთხოვნით.

6. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შემდეგ, განათლების მინისტრი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლების მოპოვების შესახებ.

7. მინისტრის ბრძანების მიღების შემდგომ რექტორი გამოსცემს ბრძანებას სტუდენტის ჩარიცხვის თაობაზე. სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემდეგ აბიტურიენტი გადის აკადემიურ და ფინანსურ რეგისტრაციას რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში, რომელიც გამოქვეყნდება სასწავლო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

8. აკადემიური რეგისტრაციის დროს აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დუკუმენტაცია:

ა) პასპორტის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (საჭიროების შემთხვევაში ორიგინალი, იდენტურობის დადგენის მიზნით);

ბ) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ უცხოეთში მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ინგლისური ენის განმსაზღვრელი საერთაშორისო დონის სერტიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში TOEFL (iBT 79); IELTS 6.5 (Acad.); FCE B; YDS 80; Pearson PTE Acad. 78);

დ) 2 ფოტოსურათი 3X4.

9. ამ მუხლის მერვე პუნქტში მითითებული დოკუმენტები წარმოდგენილ უნდა იყოს როგორც მატერიალურად ასევე ელექტრონულ მატარებელზე (CD დისკზე).

10. იმ აბიტურიენტებს, რომლებიც სათანადო დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას, ხოლო არა აქვთ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი, სასწავლო უნივერსიტეტი შესაძლებლობას აძლევს გაიარონ ინგლისური ენის ცოდნის განმსაზღვრელი გამოცდა „BAU Proficiency“ (რომელიც მოიცავს ოთხ კომპონენტს, მოსმენა, საუბარი, წერა, გრამატიკა) აღნიშნული ტესტები შემუშავებულია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ. ინგლისური ენის ცოდნის

განმსაზღვრელი ტესტები 100 (ასი) ქულიანია. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება თუ აბიტურიენტი მიიღებს მინიმუმ 60 (სამოცი) ქულას.

11. ის აბიტურიენტები, რომლებმაც ვერ წარმოადგინეს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი, ასევე ვერ ჩააბარეს BAU Proficiency-ის გამოცდა, მათი სურვილის შემთხვევაში, მემორანდუმის ფარგლებში რეგისტრირდებიან ბაჰჩეშეჰირის უნივერსიტეტის (თურქეთი, სტამბული) ინგლისური ენის მოსამზადებელ კურსებზე.

12. უცხო ქვეყნის მოქალაქის სასწავლო უნივერსიტეტში ჩარიცხვასთან დაკავშირებით ვრცელდება იგივე წესი, რაც გათვალისწინებულია მე-4 მუხლის მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებით.

მუხლი 6. უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება

1. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მინიჭებულ შესაბამის კვლიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად.

2. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლების აღიარებას ახორციელებს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ჩარიცხვაზე თანხმობის საფუძველზე, იღებს სასწავლო უნივერსიტეტი.

მუხლი 7. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1.სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლებია:

ა) სტუდენტის პირადი განცხადება (მიუხედავად მიზეზისა);

ბ) უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა (გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა);

გ) ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა;

დ) ჯანმრთელობის მდგომარეობა;

ე) ფინანსური დავალიანება სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე;

ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ზ) აკადემიური და ფინანსური რეგისტრაციის გაუვლელობა;

თ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, როგორც განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, ისე მისი ძალაში შევლის შემდგომ.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება სასწავლო უნივერსიტეტსა და სტუდენტის უფლება-მოვალეობებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

3. სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 5 (ხუთი) წლის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტს უწყდება სტატუსი.

4. პირს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება დაწესებულების სტუდენტის საერთო რაოდენობაში.

5. სტატუსშეჩერებულ პირს არ უბრუნდება გადახდილი სწავლის საფასური. სტატუსის აღდგენის შემთხვევაში მის მიერ გადახდილი თანხა ჩაითვლება შესაბამისი სემესტრის მიხევდით.

6. სტუდენტის სტატუსის შეჩერება კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა)სტუდენტის პირადი განცხადება;

ბ)საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

გ) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

დ)სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 (ხუთი) წლის ვადის გასვლა;

ე) სტუდენტის ეთიკის კოდექსის ისეთი დარღვევა, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

ვ) ერთი და იმავე სასწავლო კურსის ზედიზედ სამჯერ მოსმენა და კრედიტების ვერ ათვისება;

ზ) გარდაცვალება.

3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს, ბრძანებას. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს სტუდენტთან დადებული მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტას. მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა არ გამორიცხავს სტუდენტის მიერ ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებისაგან განთავისუფლებას.

4. რექტორის მიერ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული შედეგი დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით. აღნიშნული წესი არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ზ“ შეთხვევაზე.

5. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. სტატუსშეწყვეტილ სტუდენტს არ უბრუნდება გადახდილი სწავლის საფასური ასეთის არსებობის შემთხვევაში.

7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა კანონმდელობით დადგენილი წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენა ხდება სტუდენტის პირადი განცხადების საფუძველზე. განცხადებაში უნდა მიეთითოს სტუდენტის სტატუსის შეჩერების გარემოებათა დასრულების შესახებ და თან დაერთოს შესაბამისი მტკიცებულებითი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
2. სტუდენტის სტატუსის აღდგენის მიზნით პირი ვალდებულია სასწავლო სემესტრის (საშემოდგომო, საგაზაფხულო) დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა მიმართოს რექტორს განცხადებით.
3. სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხორციელდება ყოველ სემესტრულად, ყოველი სემესტრის დაწყებიდან, ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
4. სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის გადაჭარბებით, ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
5. სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდის საფასური.
6. სტუდენტის სტატუსის აღდგენა კანონმდებლობით დადგენილი წესით აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

მუხლი 10. ადმინისტრაციული წარმოების წესი

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის და აღდგენის შესახებ ამ დებულების შესაბამისად იწყება ადმინისტრაციული წარმოება.
2. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:
ა) დაინტერესებული პირის განცხადება;
ბ) წინამდებარე დებულებით ან კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში რექტორის ბრძანებით.
3. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ რექტორის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება, რითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული წარმოებაზე პასუხისმგებელი პირები და ვადები.
4. ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება, კორესპონდენციის მართვის სამსახურში განცხადების რეგისტრაციის შემდეგ. შემოსული განცხადებები ამ დებულების შესაბამისად წარედგინება პასუხისმგებელ პირს ან ფაკულტეტის დეკანს.
5. დაინტერესებული პირის მიერ შემოტანილი განცხადება (სტუდენტის სტატუსის აღდგენის, შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ) უნდა იყოს წერილობითი ფორმით და იგი უნდა აკმაყოფილდებდეს შემდეგ მოთოვნებს:

ა) განცხადებლის ვინაობა;
ბ) მოთხოვნა;
გ) განმცხადებლის ხელმოწერა;
დ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
6. ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ზეპირი მოსმენის გარეშე. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება დაინიშნოს ზეპირი მოსმენაც.
7. ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შემდეგ, რექტორი ბრძანების საფუძველზე ღებულობს შემდეგ გადაწყვეტილებებს: განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
8. ადმინისტრაციული წარმოების ვადებია 10 (ათი) სამუშაო დღე. ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია რექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, განსახილველი საკითხის სირთულიდან გამომდინარე.

თავი III. მობილობა

მუხლი 11. მობილობის უფლების მქონე პირი

1. მობილობის უფლება აქვს პირს:
ა)რომლის დაწესებულებაში ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი;
ბ) რომელსაც ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი;
გ) რომელმაც წარმატებით დაძლია ერთიანი ეროვნული გამოცდები და რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ რანჟირების დოკუმენტში მითითებულ დაწესებულებას ჩარიცხვის მიზნით ვერ მიმართა, ვინაიდან დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
2. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, სწავლის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ. სწავლის პერიოდში არ შედის ის დრო როდესაც სტუდენტს შეჩერებული ქონდა სტუდენტის სტატუსი.
3. მობილობა ხორციელდება ორჯერ კალენდარული წლის განმავლობაში, საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადებში.
4. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ მობილობის გამოცხადების შემდეგ, რექტორი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის, ბრძანების გამოცემის საფუძველზე ადგენს მობილობისათვის გასავლელ პროცედურებს, ვადებს, წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხას.

5. მობილობა ეზღუდება იმ კატეგორიის სტუდენტებს, რომლებმაც სასწავლო უნივერსიტეტში მოისმინეს ერთი და იმავე სასწავლო კურსი ზედიზედ სამჯერ, მაგრამ ვერ აითვისეს კრედიტები.

მუხლი 12. მობილობის ადმინისტრირება

1. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
2. სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებისათვის იქმნება ცენტრის ელექტრონული პორტალი, რომელზეც აისახება დაწესებულებების მიერ მობილობისათვის რეგისტრირებული ადგილები ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ან საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.
3. მობილობის ვადები დგინდება საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. მობილობის პროცესის შიდა საუნივერსიტეტო ადმინისტრირებას ახორციელებს რექტორის ბრძანების საფუძველზე განსაზღვრული პირები.
5. მობილობის პროცესი შედგება შვიდი ეტაპისაგან და მოიცავს:
ა) მობილობის მსურველ კანდიდატთა რეგისტრაცია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ელექტრონულ პორტალზე ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში;
ბ)მობილობის წესით ჩარიცხვის უფლების მოპოვების შემდგომ, მობილობის მსურველმა კანდიდატმა უნდა გაიაროს შიდა საუნივერსიტეტო რეგისტრაცია, რექტორის ბრძანებით დადგენილი ვადებში;
გ)შიდა გასაუბრება ან საჭიროების შემთხვევაში წერილობითი გამოცდა;
დ)ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ სტუდენტის კრედიტების აღიარების შესახებ დასკვნის მომზადება (სტუდენტის კრედიტების აღიარება ხდება „სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარების წესის“ შესაბამისად);
ე) კრედიტების აღიარების დასკვნის გაცნობა სტუდენტისათვის და წერილობით თანხმობის მიღება;
ვ) კრედიტების აღიარების დასკვნისა და სტუდენტის თანხმობის წერილის გაგზავნა განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრში;
ზ) სტუდენტის ჩარიცხვის სამართლებრივი აქტის პროექტის შედგენა, ცენტრის მიერ დადასტურება და რექტორის ბრძანების საფუძველზე სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვა.

მუხლი 13. მობილობის კომისია

1. მობილობის გამოცხადების შემდეგ რექტორი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით ბრძანებით ქმნის მობილობის კომისიას.

2. მობილობის კომისია შეიძლება დაკომპლექტდეს, როგორც სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალით, ასევე მოწვეული სპეციალისტით.
3. მობილობის კომისია შედგება მინიმუმ ორი წევრისაგან.
4. მობილობის კომისიის მუშაობას ასევე უნდა ესწრებოდეს ინგლისური ენის სპეციალისტი, რომელიც შეამოწმებს მობილობის მსურველ კანდიდატებთან ინგლისური ენის ცოდნას.
5. მობილობის კომისიის სხდომას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომისიის წევრების მიერ მათი შემადგენლობიდან, ხოლო მდივანს კომისიის წევრთა შემადგენლობიდან ასახელებს თავად თავმჯდომარე.
6. მობილობის კომისიის სხდომის ოქმის შედგენას ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნული სხდომის მდივანი.
7. მობილობის კომისია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ანგარიშვალდებულია რექტრის წინაშე.
8. მობილობის კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი, კომისიის მუშაობის პროცესში და არ გაამჟღავნოს იგი.
9. მობილობის კომისია:
ა) ამოწმებს მობილობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას;
ბ) ამოწმებს ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილ დასკვნას კრედიტების აღიარების შესახებ;
გ) ახორციელებს გასაუბრებას მობილობის კანდიდატ(ებ)თან;
დ) საჭიროების შემთხვევაში უტარებს წერილობით გამოცდას სპეციალობაში ან ინგლისურ ენაში;
ე) გასცემს მობილობის წესით მობილობის კანდიდატის ჩარიცხვასთან დაკავშირებით დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციას.

მუხლი 14. მობილობის კომისიის სხდომის ჩატარების წესი

1. მობილობის კომისიის სხდომაზე მოწვეული უნდა იყოს კომისიის ყველა წევრი. კომისიის წევრი ვალდებულია ესწრებოდეს სხდომას უშუალოდ ან მონაწილეობას იღებდეს მის მუშაობაში კომუნიკაციის ტექნიკური საშუალების გამოყენებით.
2. მობილობის კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
3. მობილობის კომისია ამოწმებს მობილობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას.
4. მობილობის კომისიას წარდგენილი დოკუმენტების შესწავლა/შეფასების შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას მობილობის კანდიდატებთან გასაუბრების შესახებ. მობილობის კომისია ვალდებულია გასაუბრების თარიღი და ჩატარების დრო აცნობოს მობილობის კანდიდატს.
5. მობილობის კომისია გადაწყვეტილებას იღებს ოქმის სახით.

მუხლი 15. მობილობის კანდიდატის გასაუბრება/გამოცდის ჩატარება

1. მობილობის კანდიდატ(ებ)თან ტარდება გასაუბრება. გასაუბრების მიზანია შემოწმდეს, მობილობის კანდიდატის ცოდნა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში.
2. მობილობის კანდიდატი ვალდებულია გამოცხადდეს გასაუბრებაზე მისთვის განსაზღვრულ დროს. დადგენილ დროზე მეტი ხნით დაგვიანების შემთხვევაში, მობილობის კომისია უფლებამოსილია არ დაუშვას მობილობის კანდიდატი გასაუბრებაზე და მოხსნას გასაუბრებიდან. მობილობის კომისია ასევე უფლებამოსილია გასაუბრება მობილობის კანდიდატთან ჩაატაროს ელექტორნული საშუალებით.
3. გასაუბრება მობილობის კანდიდატთან ტარდება ინგლისურ ენაზე.
4. ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის შეუძლებლობის შემთხვევაში მობილობის კანდიდატის მიმართ გაიცემა უარყოფითი რეკომენდაცია.
5. მობილობის კომისია უფლებამოსილია მობილობის კანდიდატს საჭიროებს შემთხვევაში ჩაუტაროს წერილობითი გამოცდა სპეციალობაში და ინგლისურ ენაში.

მუხლი 16. გადაწყვეტილების მიღება

1. ამ დებულებით გათვალისწინებული პროცედურის დასრულების შემდეგ მობილობის კომისია შედეგების ურთიერთშეჯერებით, იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით მობილობის კანდიდატთან დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციის გაწევის შესახებ.
2. მობილობის კანდიდატს ეცნობება მობილობის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება და ხარისხის სამსახურის უფროსის მიერ მომზადებული დასკვნა კრედიტების აღიარების შესახებ. მობილობის კანდიდატისაგან წერილობითი თანხმობის მიღების შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები წარედგინება რექტორს ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.
3. მობილობის კომისიის რეკომენდაცია ზემოაღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში წარედგინება რექტორს.

თავი IV. გარდამავალი დებულებანი

მუხლი 17. დებულების ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს რექტორის 2015 წლის 06 მარტის №59 ბრძანება „უმაღლესი საგანამანათლებლო პროგრამების განხორციელების წესის“ მე-3, მე-4. მე-5, მე-8 მუხლები.
2. „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორცილების წესის“ სხვა მუხლები დარჩეს უცვლელი.

თავი V. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 18. დებულების ძალაში შესვლის წესი

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დამტკიცების შემდგომ.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილება/დამატება ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
3. წინამდებარე დებულება არ ვრცელდება მანამდე წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.